პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 217 (4211)

1970 წ. 4 ნოემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

რიონის ტალღებში

რამდენიმე წელია დასავლეთ ევროპაში გაჩნდა ნიჩბოსნობის კიდევ ერთი სახეობა — სანიჩბოსნო სლალომი. ჩვენს ქვეყანაში ამ ძნელ და ლამაზ სახეობაში მხოლოდ წლეულს დაიწყეს ვარჯიში.

და აი, ამას წინათ ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში, მდინარე რიონზე გაიმართა სსრ კავშირის I პირადი პირველობა სანიჩბოსნო სლალომში. ადგილობრივი მცხოვრებნი ალბათ ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ აქ, სადაც რიონი ძალიან ვიწრო, სწრაფი და ბობოქარია, ოდესმე რაიმე შეჯიბრება ჩატარდებოდა. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მით უმეტეს რომ, სარბიელზე გამოვიდნენ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები ნიჩბოსნობის სხვა სახეობებში. რსფსრ-ს, უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებთან ერთად სტარტი საქართველოს ხუთმა სპორტსმენმაც აიღო.

შეჯიბრების 50-მდე მონაწილეს 800-მეტრიან ტრასაზე 29 კარი უნდა გაევლო, აქედან სამი უკუსვლით, სოლო რვა — მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. ამას გარდა, სპორტსმენებს უნდა გადაელახათ მცირე სხვა ბუნებრივი დაბრკოლებაც — ჩქერები, ლოდები...

ყოველ მონაწილეს უფლება ჰქონდა ორი ცდა გამოეყენებინა. გაიმარჯვებდა ის, ვინც ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულას მიიღებდა. თუ სპორტსმენი კარის ერთ-ერთ ძელს შიგნიდან შეეხებოდა, 10 საჯარიმო ქულა ეწერებოდა, თუ ორივეს შეეხებოდა — 20, გარედან შეხებისას — 50, კარის გამოტოვების შემთხვევაში — 100.

დისტანცია უჯარიმოდ ვერავინ გაიარა. ბევრს ნავიც გადაუბრუნდა. მათ შორის იყო მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ვ. ლიუტვინსკიც.

ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღო ვაჟებს შორის ერთადგილიანი ბაიდარით მოასპარეზე ვ. ჟუკოვმა (იგი ცალფეხაა). ლენინგრადელი მხოლოდ მე-5 კარს შეეხო შიგნიდან და აშისთვის დაჯარიმდა.

ამ სახეობაში ოთხი ჩვენი თანამემამულე ასპარეზობდა. ი. მარეხაშვილს პირველი ცდის შემდეგ III ადგილი ეკავა, მაგრამ მეორე ცდაზე რიგელმა ი. ზარინშმა უკეთესი შედეგი აჩვენა და ქართველ სპორტსმენს საბოლოოდ IV ადგილი ხვდა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდის დანარჩენმა წევრებმა — ვ. როსტიაშვილმა, გ. მარეხაშვილმა და ი. ბუზიაშვილმა შესაბამისად VII, VIII და X ადგილები დაიკავეს.

საქართველოს გუნდის წევრებიდან საპრიზო ადგილი მხოლოდ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ს. არეშვილმა მოიპოვა. ერთადგილიანი კანოებით შეჯიბრებაში მან წინ მარტო სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და ევროპის ექსჩემპიონი, ლენინგრადელი ვ. ლიუტვინსკი გაუშვა, რომელიც გუნდის მწვრთნელიც გახლავთ.

შეჯიბრების შემდეგ ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში გამარჯვებულს, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს, პერმის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელს ტ. ვორობიოვას (იგი ლენინგრადის სახელს იცავდა) ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლაზე:

— თქვენი სლალომისტები წყალში თავს თევზივით გრძნობენ და მიკვირს, რატომ უკეთეს შედეგებს ვერ მიაღწიეს. ამ სახეობის განვითარებისთვის საქართველოში შესანიშნავი პირობებია: სწრაფი მდინარეები, რომლებიც ზამთრობით არ იყინება, ტემპერამენტიანი ახალგაზრდობა. სლალომს მეტი რა უნდა!

დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ყველა სპორტსმენი მოხვდა. გუნდი მოემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის (ეს შეჯიბრება გაისად იტალიაში გაიმართება) და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ტვიში,
ცაგერის რაიონი.

• • •

ტექნიკური შედეგები:

ქალები. **ერთადგილიანი ბაიდარა.** ტ. ვორობიოვა (ლენინგრადი)— 250 საჯარიმო ქულა, ბ. სერებერგა (რიგა) — 360, მ. ეფრემოვა (ლენინგრადი) — 370. **ვაჟები.** **ერთადგილიანი ბაიდარა.** ვ. ჟუკოვი (ლენინგრადი) — 10, მ. ლაილინში — 60, ი. ზარინში (ორივე — რიგა) — 70. **ერთადგილიანი კანოე.** ვ. ლიუტვინსკი (ლენინგრადი) — 160, არეშოვი (თბილისი) — 300, კ. მესალნიევსკი (რიგა) — 350; **ორადგილიანი კანოე.** ა. შკოლნიკოვი და ვ. ტაბაჩნიკოვი (ლენინგრადი) — 200, ა. კუზმინი და ა. კრუზე (რიგა) — 520, ა. სენიკოვი და ა. ნეკრასოვი (ლენინგრადი) — 530.

• • •

სურათებზე: ზევით — **პრიზიორები (მარცხნიდან) ვ. ჟუკოვი, ს. არეშოვი და ტ. ვორობიოვა;** ქვევით — **შეჯიბრების მომენტები.**

ავტორის ფოტო.





უმედლოდ არავინ დარჩა

ირანში ყოველწლიურად ტარდება მოჭიდავეთა სხვადასხვა სახის საერთაშორისო ტურნირი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თავისუფალი სტილის ფალავანთა ასპარეზობანი და ეს გასაგებიცაა. ირანი ხომ მრავალი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის სამშობლოა. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია ტრადიციულად ტარდება „არიამეხრას“ სახელს ატარებს. ეს შეჯიბრება თავის დროზე ორგანიზებულ იქნა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებისადმი პროტესტის ნიშნად. მაშინ ირანის ჭიდაობის ფედერაცია უკმაყოფილო იყო მსოფლიოს ჩემპიონატში მსაჯების მოქმედებით და პირველობის დამთავრების შემდეგ საასპარეზოდ მიიწვია ჩვენი პლანეტის უძლიერესი ფალავნები. ტურნირი ირანელებმა მოიგეს. ამ წარმატების აღსანიშნავად გადაწყდა მისი რეგულარულად ჩატარება.

წლევანდელ „არიამეხრაში“ 6 ქვეყნის 105 ათლეტი გამოდიოდა. ბევრმა მონაწილემ ირანში სრული გუნდი არ გააგზავნა, ამიტომ ცხადია, პირველი გუნდური ადგილი მასპინძლებმა დიასაკუთრეს. მათი გამარჯვება აშკარა და დამაჯერებელი იყო. ოქროს 7 და ბრინჯაოს 3 მედალი, ჩვენი აზრით, კომენტარს არც საჭიროებს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჯილდოს გარეშე ირანის გუნდში არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა.

წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ფალავნებმაც. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში სულ 7 მოჭიდავე გამოდიოდა. მასპინძლების მსგავსად ისინიც უმედლოდ არ დარჩენილან. საბჭოთა ათლეტმა შინ ოქროს 3 და ვერცხლის 4 მედალი ჩამოიტანეს.

საბჭოთა კავშირის გუნდი სანახევროდ ახალბედებით იყო დაკომპლექტებული. გამოცდილი ოსტატების გ. სტრახოვის (მოსკოვი), ვ. გულიუტკინის (კიევი), რ. გაჯიევის (ბაქო) და ვ. მარკელოვის (ყაზანი) გვერდით წარმატებით გამოდიოდნენ ახალბედებიც — ვ. სულჟინი (მინსკი), ბ. ტუნგაევი (გროზნო) და ი. მამედოვი (ბაქო).

ოქროს მედლები მოიპოვეს ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატის გმირებმა გ. სტრახოვმა (საშუალო წონა) და ვ. გულიუტკინმა (ქვემძიმე). სარბიელის ვეტერანთა წარმატება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო, სამაგიეროდ სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ქვესაშუალო წონის ათლეტმა ვ. სულჟინმა. სულჟინმა საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ი. შახმურადოვის შემდეგ. ეს წარმატება რომ შემთხვევითი არ იყო, ახალგაზრდა ოსტატმა ეს ირანშიც დაამტკიცა. მან თავისი გამოცდილი მეგობრების მსგავსად პირველი პრიზი მიიღო.

ვერცხლის მედლები ერგოთ უმჩატეს წონაში სსრ კავშირისა და ევროპის წლევანდელ ჩემპიონს რ. გაჯიევს, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს მსუბუქ წონაში ვ. მარკელოვს, ვიცეჩემპიონს ი. მამედოვს (ქვემსუბუქი) და დიდი სარბიელის დებიუტანტს ბ. ტუნგაევს.

ჯეელი ეჯეები

- **დიდოსტატების უპირატესობით**
- **უნგრელი მძლეოსნები არ ხუმრობენ**
- **უმასპინძლებს პოლონეთი**

● **სოჩი, 2 ნოემბერი.** დამთავრდა დიდოსტატებსა და ოსტატებს შორის ტურნირი, რომელიც კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო. ორთაბრძოლების ანგარიშია 51,5:46,5 დიდოსტატების სასარგებლოდ. დიდოსტატებიდან პირველი იყო მ. ტალი — 10,5, ოსტატებიდან — გ. კუზმინი — 9,5 ქულა.

● **ბუდაპეშტი, 2 ნოემბერი.** წარმატებით იასპარეზეს აქაურმა ბადრის მტყორცნელებმა. ტეგლას ნატყორცნმა ბადრომ 65 მეტრზე და 30 სანტიმეტრზე იფრინა. ეს უნგრეთის ახალი რეკორდია. მაღალი შედეგი ჰქონდა ფეირსაც — 65,02 მ.

● **ბერლინი, 2 ნოემბერი.** აქ გაიმართა გდრ-ისა და პოლონეთის ბოქსიორთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი. თავიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ (3:0), მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 4:4.

● **ვარშავა, 2 ნოემბერი.** სამოტოციკლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატი სპიდვეიში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართოს.

● **ბუქარესტი, 2 ნოემბერი.** მძლეოსნებისთვის უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული პრიზის პირველი მფლობელნი აქაური სპორტსმენები გახდნენ. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მასპინძლები, ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. უზბეკი სპორტსმენებიდან ბირთვი 18 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე პირველმა ჭკრა ვ. ტარასოვმა. ამჟამად 800 მეტრზე რბენაში ყირგიზეთის რეკორდია 1.50,4. ამ მიღწევის ავტორია ვ. ზუბახინი. მინსკელმა ტ. განენოვამ სიგრძეზე ხტომაში 618 სმ დაძლია, ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა 210 სმ სიმაღლე გადალახა.

● **ბუდაპეშტი, 2 ნოემბერი.** სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ ორი საერთაშორისო მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონთან — უნგრეთის გუნდთან. პირველ შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს — 18:16, მეორე მატჩი კი სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 13:12.

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპორტაკიადებისთვის მზადება

ოსტატობის სრულყოფისთვის

2. ფიზიკური მომზადება

მოთხოვნები ყოველმხრივი, საერთო ფიზიკური მომზადებისადმი უმყარება ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ფუძავარ კანონზომიერებას — სხეულის ერთიანობას, სისტემებისა და ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებას. რაც უფრო მაღალია ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვის განვითარების დონე, მით უფრო დიდია მოძრაობითი ჩვევების მარაგი, მით უფრო მტკიცეა ადამიანის ჯანმრთელობა, მით უფრო უკეთ შეიძლება მისი სპეციალური, მათ შორის, სპორტული მომზადებაც.

ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთ როზილიმე სახეობაში სპეციალიზაციას ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების გარეშე საერთო არაფერი აქვს ფიზიკური აღზრდის ამოცანებთან. სპორტული სპეციალიზაცია ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების გარეშე, როგორც წესი, აქვეითებს ჯანმრთელობას, ფიზიკური განვითარების ცალმხრივობას იწვევს.

ფიზიკური მომზადება — ესაა სპორტსმენის ფიზიკური შესაძლებლობების განვითარების პროცესი სპორტის არჩეული სახეობის დასაუფლებლად. სპორტული მიღწევებისთვის ფიზიკური მომზადების ძირითადი მნიშვნელობა ფიზიკური მზადყოფნის მიღწევის ან შენარჩუნების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

სპორტსმენის ფიზიკური მომზადება შედგება ორი სხვადასხვა ნაწილისგან — საერთო და სპეციალური მომზადებისგან.

საერთო ფიზიკური მომზადება სპორტის ერთი რომელიმე სახეობისთვის სპეციფიკური არ არის. იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებს სპორტულ წარმატებაზე.

საერთო ფიზიკური მომზადებისთვის უპირატესად გამოიყენება საერთო განმავითარებელი ხასიათის ვარჯიშები და სპორტის სხვადასხვა სახეობა.

სპორტსმენის ფიზიკური მომზადება და უნარის სისტემატური გაუართოვება-გამდიდრებით, მისი ფიზიკური შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარებით, ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობათა ზრდით, საერთო ფიზიკური მომზადება სპორტული სპეციალიზაციისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

ამასთანავე, საერთო ფიზიკური მომზადება სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის ერთნაირი არ არის. (სიტყვა „ხალერთო" ამ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთგვაროობას, ერთიანობას). ზოგიერთ საერთო დამახასიათებელ მხარესთან ერთად იგი სპორტული სპეციალიზაციის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულია. სპორტსმენის საერთო ფიზიკური მომზადების შინაარსი უნდა განისაზღვროს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა მოძრაობითი ჩვევისა და ფიზიკური მოძრაობითი თვისების დადებითი ურთიერთდამოკიდებულების გამოყენება, გამორიცხული იქნეს შესაძლებელი უარყოფითი გავლენა სპეციალიზაციის პროცესზე. საქმე ისაა, რომ ფიზიკურ თვისებებს განვითარების პროცესში შეუძლიათ ურთიერთმოქმედება როგორც დადებითად, ისე უარყოფითადაც. ერთ შემთხვევაში რომელიმე თვისების განვითარება ხელს შეუწყობს სხვა თვისებების გამოღვიძებას, მეორე შემთხვევაში კი შესაძლებელია საწინააღმდეგო ეფექტი მივიღოთ. ეს დადასტურებულია სპორტული პრაქტიკით და ექსპერიმენტალური კვლევით (ნ. ზიმკინი, ა. კორობკოვი, ვ. დიაჩკოვი, მ. მაისურაძე).

საერთო ფიზიკურმა მომზადებამ სპორტსმენი უნდა შეაიარაღოს ისეთი მოძრაობითი ჩვევებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ არჩეული სპორტული სპეციალიზაციისთვის საჭირო თვისებების შეძენას. ეს კი ნიშნავს, რომ სპორტსმენის საერთო ფიზიკურ მომზადებას ყველა ცალკეულ შემთხვევაში თავისი განსაკუთრებული ნიშნები ექნება. განსხვავებული იქნება საერთო ფიზიკური მომზადების საშუალებები და მათი გამოყენების მეთოდები (ვარჯიშების დოზირება, მათი ადგილი წვრთნის პროცესში, სხვა ვარჯიშებთან შეთავსება).

აქედან გამომდინარე, ფიზიკური მოძრაობითი თვისებების ყოველმხრივი განვითარება არ გამორიცხავს ერთი რომელიმე ცალკეული თვისების უპირატეს განვითარებას სხვა თვისებების დონის ზრდის პარალელურად, როგორც ეს ხდება სპორტული სპეციალიზაციის პროცესში.

სპორტსმენის მოძრაობითი თვისებების ყოველმხრივი განვითარება უნდა განვიხილოთ, როგორც მისი სხეულის ფუნქციურ შესაძლებლობათა საერთო აღმავლობის პროცესი მოძრაობითი მოქმედების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებით და სპორტსმენის მიერ არჩეული სახეობისთვის სპეციფიკური ფიზიკური მონაცემების უპირატესი განვითარებით.

საერთო ფიზიკური მომზადების საშუალებებს წარმოადგენენ საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები და სპორტის სხვადასხვა სახეობა.

საერთოგანმავითარებელია ისეთი ვარჯიშები, რომლებიც კუნთების სხვადასხვა ჯგუფზე ზემოქმედებენ და მთელი სხეულის ჰარმონიული განვითარების ამოცანებს წყვეტენ. ეს არის კუნთის დასაჭიმი და მოსაღუნველი, სისწრაფის, ძალის, სიმარჯვის, გამძლეობის, მოქნილობისა და შერეული ზემოქმედების ვარჯიშები, რომელთა შესრულება შეიძლება როგორც იარაღებით, ისე იარაღების გარეშე.

საერთო ფიზიკური მომზადების საშუალებებად გამოიყენება ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სპორტული თამაშები და სხვა სახეობები (სპეციალიზაციის სახეობის გარდა), რომლებიც ფორმითა და ზემოქმედებით შედარებით ახლოს არიან არჩეულ სპეციალიზაციასთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიეკუთვნება იმ სახეობების ვარჯიშებს, რომლებიც მოძრაობის ფორმითა და შინაარსით, სისწრაფითა და კუნთოვანი შეკუმშვით, დაძაბულობისა და მოდუნებულობის მონაცვლეობით, ცალკეული კუნთოვანი ჯგუფების უპირატესი მუშაობით, ცალკეული ორგანოებისა და სისტემების განვითარებით, მოძრაობის ციკლურობითა და აციკლურობით არჩეული სპეციალობისთვის აუცილებელ ჩვევებსა და თვისებებს ავითარებენ.

მიუხედავად საერთო ფიზიკური მომზადების დიდი მნიშვნელობისა, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაში მთავარი როლი ენიჭება სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას.

სპორტსმენის სპეციალური ფიზიკური მომზადება ისეთი ფიზიკური უნარიანობის განვითარების პროცესია, რომელიც სპეციალიზაციისთვის არჩეული სახეობის სპეციფიკურ მოთხოვნებს უპასუხებს.

სპეციალური ფიზიკური მომზადება ითვალისწინებს მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად სპორტის არჩეული სახეობისა და სპეციალური ვარჯიშების უპირატეს გამოყენებას ყველაზე აუცილებელი ფუნქციების, ჩვევებისა და თვისებების განვითარების გზით.

სპეციალური ვარჯიშები ფართოდაა გავრცელებული. მათ დიდი ადგილი უკავიათ სპორტულ წვრთნაში და მნიშვნელოვნად აადვილებენ საწვრთნელ პროცესს, ამასთან, ძალებისა და დროის ნაკლები ხარჯვით სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევიან.

ცნობილია, რომ სპორტის ყოველი სახეობა თავის მოთხოვნებს წარუდგენს სპორტსმენის უნარიანობას, სხვადასხვა თვისების თავისებურ შეთავსებას. მაგალითად, სპრინტერს პირველ ყოვლისა მოეთხოვება სწრაფ-ძალისმიერი თვისებები განსაკუთრებული შეფარდებით (რომელსაც სპრინტერულ სიმძლავრეს უწოდებენ), აგრეთვე, სწრაფგამძლეობა, რომელიც კერძოდ კუნთოვანი შეკუმშვის ენერგეტიკული რესურსების შესაძლებლობების გამოყენებას ემყარება. პირიქით, სტაიერს პირველ ყოვლისა ესაჭიროება სუნთქვის პროცესის მაღალ დონეზე დაფარებული გამძლეობა. მოჭიდავეს მოეთხოვება განსაკუთრებული ძალისმიერი გამძლეობა, სპეციფიკურ ხიმარჯვესთან ერთად. ტანმოვარჯიშეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპეციალურ ვარჯიშთა კომპლექსების წესრულებას ზუსტად მოცემული პროგრამით, გამომსაყვლად და ზუსტი კოორდინაციით მრავალჯიდურ გამძლეობასთან ერთად, რაც ტანვარჯიშული მრავალჭიდის მთელი პროგრამის მანძილზე ძალის, სიმარჯვისა და სხვა ფიზიკური თვისებების აუცილებელი დონის შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

სწორედ ასეთი სპეციფიკური უნარის განვითარება, რომელიც ემყარება სხვადასხვა ფიზიკური თვისების თავისებურ გამოვლენას და შეფარდებას, წარმოადგენს სპორტსმენის სპეციალური ფიზიკური მომზადების შინაარსს.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



საკავშირო უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1969 და 1970 წლებში), საკავშირო სტუდენტური თამაშების 1962 და 1964 წლების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, რესპუბლიკის სტუდენტური თამაშების ექვსგზის ჩემპიონი — ასეთია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბის წარმატება.

ეს კლუბი 1954 წლიდან არსებობს. ამ ხნის მანძილზე 238 სტუდენტი სპორტის ოსტატი გახდა, 945 — ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. ახლა 32 სექციაში 2600 სპორტსმენი მეცადინეობს.

ყველაზე პოპულარულია კალათბურთის სექცია. ინსტიტუტს ქალთა და ვაჟთა ძლიერი გუნდები ჰყავს. ვაჟთა გუნდი, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ბინადარია.

საუკეთესო სტუდენტური კლუბის ფინანსურ დასაყრდენს შეადგენს საწევრო შესატანი (2000 მანეთი წელიწადში) და დოტაცია 2000-2500 მანეთის რაოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად პროფკავშირის კომიტეტი იძლევა.

* * *

ხურათზე: საერთო ფიზიკური მომზადების გაკვეთილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში.

ფ. დათიკაშვილის ფოტო (საკლები).

პრაქტიკოსები სცენაზე

გურჯაანის კულტურის სახლში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს სპორტაკიადის პროგრამით (აღმოსავლეთის ზონა). ტურნირში მონაწილეობდა 14 რაიონი. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი გორელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს, II ადგილი წილად ხვდა გურჯაანის ნაკრებს, III — საგარეჯოს კოლექტივს.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: ფეიქრიშვილი (დუშეთი), კლდიაშვილი (გორი), გოგილაშვილი, ლიპარტაშვილი (ორივე — გურჯაანი), ყორღანაშვილი (საგარეჯო), გაგუნაშვილი (ახმეტა), მიხანაშვილი (გორი), აბულაძე (ახმეტა).

მაყურებლებმა ბევრი ლამაზი და მომხიბლავი ორთაბრძოლა იხილეს. დაძაბული გამოდგა საგარეჯოელი ყორღანაშვილისა და ახმეტელი გუტაშვილის ფინალური შერკინება. გადამწყვეტ შეხვედრამდე მეტოქეები გამარჯვებებით მივიდნენ. მაყურებელთა სიმპათიები ყორღანაშვილის მხარეს იყო, ვინაიდან ამ ფალავნის დევიზი მხოლოდ შეტევა. საგარეჯოელმა არც ფინალში უღალატა თავის პრინციპს. მან დასაწყისშივე აართვა მეტოქეს 2 მომგებიანი ქულა, მაგრამ არც ამის შემდეგ მოუდუნებია ყურადღება. ყორღანაშვილმა ბოლოს და ბოლოს მიაღწია საწადელს და მეტოქე ორივე ბეჭით ხალიჩას გაეკრა.

ვაქცინური ბრძოლით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს დუშელმა ფეიქრიშვილმა, გურჯაანელმა გოგილაშვილმა, ახმეტელმა გაგუნაშვილმა, გორელმა ომაძემ და სხვებმაც.

უნდა აღინიშნოს მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი ა. ხინჩაგაშვილი) კარგი მუშაობა. და მაინც, ტურნირის პროცესში ცალკეული ხარვეზებიც შეინიშნებოდა. ერთ-ერთ ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ სცენაზე, სადაც ორთაბრძოლები მიმდინარეობდა, საკმაოდ ბევრი ხალხი იყრიდა თავს. ისინი ზოგჯერ ერეოდნენ მსაჯთა გადაწყვეტილებებში. ბევრს სცოდავდნენ და მსაჯებს ეკამათებოდნენ ქარელის, ახმეტის, საგარეჯოსა და ზოგიერთი სხვა გუნდის წარმომადგენლები, მსაჯთა კოლეგიამ კი ვერ დაატოვებინა სცენა ამ არამკითხე ხალხს.

შ. ფიცლაური.
(ჩვენი კორ.).

გურჯაანი.

„ლენინის ალმასი"

„წარსულს ჩაბარდა"

ამ სათაურით 26 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც თბილისის ქარხანა „ელექტროძრავაში" ჩაშლილ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას ამხელდა. როგორც ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბაკურაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ქარხანაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა დაბალ დონეზეა. წლეულს სპორტსაზოგადოება „განთიადის" საწევროს შეგროვებაზე არავის უზრუნია, არ ტარდებოდა საწარმოო ტანვარჯიში, სექციები (ფეხბურთის გარდა) არ მუშაობდნენ, არ ეწყობოდა ტურისტული ლაშქრობანი, ქარხნის სპორტსმენები საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში არ მონაწილეობდნენ, დაბალ დონეზე იყო სპორტის პროპაგანდა.

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტს, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი გ. გვანცელაძე ხელმძღვანელობდა, წლეულს თავის სხდომაზე ქარხანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები ერთხელაც არ მოუსმენია.

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარესა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს გ. გვანცელაძეს მიუთითა. ქარხანა „ელექტროძრავას" ფიზკულტურული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის სათანადო ღონისძიება დასახა.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივ დარგობრივ ბიუროს (ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბაღდასაროვი) დავალა „ელექტროძრავას" ფიზკულტურული საბჭოს ხელმძღვანელობას სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ჯგუფი

„ა" კლასი

გათამაშება „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის დასასრულს მიუახლოვდა. დებულების თანახმად I-II ადგილებზე გასული გუნდები გარანტირებულ ითამაშებენ „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში. საამისო რეალური შანსი აქვს 3 გუნდს — ლვოვის „კარპატის", ალმა-ათის „აბინარის" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". მათ შორის უკეთეს მდგომარეობაში არიან ლვოველები, რომლებსაც 59 ქულა აქვთ და საკამაშო დარჩათ 2 მატჩი — საკუთარ მინდორზე თბილისის „ლოკომოტივთან" და გასვლაზე ყარაგანდის „შახტიორთან". „ყაირათი" (59 ქულა) თავის მინდორზე ლებულობს ხაბაროვსკის არმიელებს, ხოლო „დნეპრი" (59 ქულა) — კრასნოდარის „ყუბანს". თუ მასპინძლებმა ეს შეხვედრები მოიგეს, უპირატესობა მიენიჭება „ყაირათს", რომელსაც გატანილი და მიდებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კარპატი" (ლვოვი)	40	24	11	5	67—22	59
„ყაირათი" (ალმა-ათა)	41	24	11	6	68—28	59
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	41	25	9	7	53—25	59
„მეტალისტი" (ხარკოვი)	41	15	18	8	42—25	48
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	41	19	10	12	51—38	48
„დინამო" (ლენინგრადი)	41	19	9	13	61—47	47
„არ. სოვეტოვი" (ყუბანი)	41	17	12	12	43—32	46
„შახტიორი" (ყარაგანდა)	40	15	15	10	49—40	45
„რუბინი" (ყაზანი)	41	18	9	14	36—42	45
„შალგირისი" (ვილნიუსი)	41	15	11	15	45—38	41
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	41	13	14	14	39—33	40
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	41	13	12	16	36—47	38
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	41	12	14	15	34—50	38
„ლოკომოტივი" (თბილისი)	41	14	9	18	36—41	37
„უუბანი" (კრასნოდარი)	41	11	15	15	27—40	37
„ვოლგარი" (ასტრახანი)	40	12	11	17	33—44	35
„დაუგავა" (რიგა)	41	11	11	19	36—49	33
ასკ (ხაბაროვსკი)	41	8	16	17	21—38	32
ასკ (კიევი)	41	11	9	21	39—50	31
„პამირი" (დუშანბე)	41	11	9	21	39—61	31
„ალგა" (ფრუნზე)	41	9	12	20	33—45	30
„სტროიტელი" (ამბალადი)	40	6	7	27	21—74	19

II ჯგუფი

„ა" კლასი

II ზონა

მოგვყავს „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის 31 ოქტომბრის ტურის შედეგები: „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დინამო" (ბრიანსკი) 4:1, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 0:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „მეტალურგი" (ტულა) 2:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:0, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „დინამო" (კიროვაბადი) 3:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:0, „ვოლგა" (კალინინი) — „ვოლგა" (გორკი) 3:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სატურნი" (რიბინსკი) 5:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შინიკი" (იაროსლავლი)	41	23	14	4	63—29	60
„ავტომობილისტი" (ნალჩიკი)	40	21	15	4	50—14	57
„ვოლგა" (კალინინი)	41	22	11	8	55—28	55
„მეტალურგი" (ტულა)	41	20	11	10	78—38	51
„მაშუკი" (პიატიგორსკი)	41	17	16	8	51—34	50
„დინამო" (სტავროპოლი)	41	15	16	10	37—36	46
„ლოკომოტივი" (კალუგა)	41	14	16	11	45—50	44
„ტრუდი" (ვორონეჟი)	41	16	11	14	56—41	43
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	41	16	10	15	48—47	42
„ტორპედო" (ტაგანროგი)	41	13	15	13	36—42	41
„დრუჟბა" (მაიკოპი)	39	14	12	13	32—32	40
„სალუტი" (ბელგოროდი)	41	12	16	13	40—43	40
„სატურნი" (რიბინსკი)	41	11	17	13	42—53	39
„შირაკი" (ლენინაკანი)	39	13	10	16	41—42	36
„დინამო" (ბათუმი)	38	11	14	13	30—39	36
„ვოლგა" (გორკი)	38	11	13	14	43—42	35
„დინამო" (მახაჩყალა)	41	12	11	18	43—54	35
„სტალი" (ვოლგოგრადი)	41	8	18	15	33—39	34
„დილა" (გორი)	39	11	11	17	40—53	33
„დინამო" (კიროვაბადი)	41	12	8	21	37—42	32
„დინამო" (ბრიანსკი)	41	7	11	23	33—76	25
„ფოლადი" (სუმგაითი)	41	4	8	29	19—75	16

„ბ" ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფი

„ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფში შედგა გამოტოვებული შეხვედრები. „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „მერცალი" (მახარაძე) 2:2, „სპარტაკი" (სარანსკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:0, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „კახეთი" (თელავი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (რიაზანი)	34	18	10	6	55—28	46
„მეშახტე" (ტყიბული)	34	16	13	5	46—35	45
„მეტალურგი" (რუსთავი)	34	18	7	9	41—29	43
„ტორპედო" (ეისკი)	33	15	11	7	46—23	41
„მერცხალი" (მახარაძე)	33	17	7	9	53—33	41
„კოლხეთი" (ფოთი)	34	11	19	4	42—28	41
„სპარტაკი" (სარანსკი)	34	12	14	8	31—25	38
„გურია" (ლანჩხუთი)	34	13	11	10	49—39	37
„კახეთი" (თელავი)	34	16	5	13	38—29	37
„სულორი" (ვანი)	34	13	7	14	29—44	33
„პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი)	33	9	14	10	41—38	32
„მეტალურგი" (კრასნი სულინი)	34	10	10	14	23—36	30
„დინამო" (სოხუმი)	34	9	11	14	31—37	29
„ორბიტა" (ბელაია კალიტვა)	34	9	11	14	26—36	29
„ალაზანი" (გურჯაანი)	33	9	7	17	31—68	25
„სპარტაკი" (ცხინვალი)	34	7	6	21	25—56	20
„სპარტაკი" (ტამბოვი)	33	5	8	20	24—52	18
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	34	4	10	20	16—18	18

ახალ ამპლუაში

— მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პირველკურსელმა, სპორტის ოსტატმა ლ. ჟარკოვამ, რომელიც სიგრძეზე ხტომაში უკონკურსოდ ასპარეზობს, პირველი ცდით 631 სანტიმეტრი აჩვენა და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის რეკორდი დაამაყარა! — გამოაცხადა მსაჯმა-ინფორმატორმა და მაყურებლებმაც სიგრძეზე ხტომის სექტორისკენ გადაინაცვლეს.

ჟარკოვას შესანიშნავ სპრინტერად იცნობენ სსრ კავშირში (და მის ფარგლებს გარეთაც). მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მან 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ სიგრძეზე ხტომაში დღემდე არ გამოსულა.

მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა, იენის (აღრ) უნივერსიტეტისა და ბულგარეთის სტუდენტთა სპორტასოციაციის „აკადემიკის" მძლეოსნებიც ასპარეზობდნენ. ჟარკოვამ სიგრძეზე ხტომელ ქალთა შეჯიბრების დაწყების წინ უკონკურსოდ გამოსვლის ნებართვა ითხოვა, შემდეგ კი ყველა გააკვირვა კარგი შედეგებით. სტუმარმა ყველა ცდით სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხტომის ტექნიკაში იგი საგრძნობლად მოიკოჭლებს და წარმატებას მხოლოდ სისწრაფის წყალობით მიაღწია. სპეციალისტებმა ჟარკოვას „ალმონენა" უწოდეს, ვფიქრობთ, ჟარკოვა „სპეციალობას" შეიცვლის და ჩვენი ქვეყნის ნაკრებს მისი სახით მალე ეყოლება შესანიშნავი სიგრძეზე მხტომელი და ვინ იცის, იქნებ მიუნჰენის ოლიმპიადის პრიზიორიც. ამ სახეობაში პირველობა თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ლ. ივევლევას დარჩა — 594 სმ. ჟარკოვამ მოიგო 100 (12,1) და 200 მეტრზე (25,9) რბენა.

ამ ორდღიან მატჩში ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენმა გ. გუდაშვილმა სსრ კავშირში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (61,04 მ) აჩვენა და სოფიელ სტუდენტს თ. არტარსკის (53 მ) 8 მეტრზე მეტი მოუგო.

სამხტომში ევროპის ზამთრის ჩემპიონატებში ორგზის გამარჯვებულმა, სპორტის ოსტატმა ნ. დუდკინმა (მოსკოვი) სიგრძეზე ხტომასა (772) და სამხტომში (15,87 მ) იმარჯვა, 800 და 1500 მეტრზე რბენა პ. ხიკოვმა (სოფია) მოიგო.

მასპინძელთაგან თავი ისახელეს, აგრეთვე, 110 მეტრზე თარჯრბენში ა. მოშიაშვილმა, ბირთვის კვრაში

მ. ოყროშიძემ, 200 მეტრზე რბენაში თ. მდინარაძემ...

მატჩის გუნდურ ჩათვლაში პირველი დღის შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე დღეს თბილისელები რვა სახეობაში მხოლოდ თითო სპორტსმენით ასპარეზობდნენ (მეტოქეთ 2-2 მძლეოსანი გამოჰყავდათ) და ამიტომ გამარჯვება მოსკოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დარჩათ — 131:107.

თბილისელებმა სტუმრებს კარგი მასპინძლობა გაუწიეს. გაიცნეს თბილისის უნივერსიტეტის საქმიანობა, საქართველოს დედაქალაქის დირსშესანიშნაობანი, ჰყავდათ გორში..

ო. გელაშვილი.

• • •



სურათებზე: ზევით — ნ. დუდკინი ასპარეზობისას; საქართველოს რეკორდსმენი ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ლ. გუკი ახე ხტება „ფოსბიური ფლოპით".

ავტორის ფოტო.

საგზურები განაწილდა

თბილისის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა დედაქალაქის 1971 წლის პირველობის ნახევარფინალი. მოჭადრაკენი ერთმანეთს ეცილებოდნენ ფინალის 10 საგზურს. ბუხჰოლცის კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: 1. გ. ციხელაშვილი, 2. ზ. მიქაძე, 3. რ. ჯინჯიხაშვილი (თითოეულს — 8,5 ქულა), 4. ვ. მეჩიტოვი, 5. ნ. ჩახოიანი, 6. გ. მაჭავარიანი, 7. რ. კაბანაძე (თითოეულს — 7,5 ქულა), 8. ვ. ტახტაროვი, 9. ა. არჩაძე, 10. მ. აბვაზიშვილი, 11. ნ. ალექსანდრია, 12. დ. გედევანიშვილი, 13. ო. თურქესტანიშვილი, 14. დ. ჯანოევი, 15. ს. მეგრელიშვილი, 16. ა. წერეთელი, 17. ე. ბელქანია (თითოეულს — 7 ქულა). ვინაიდან საერთაშორისო ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი და ნ. ალექსანდრია უკონკურსოდ თამაშობდნენ, ფინალის საგზურები მიიღეს მოჭადრაკეებმა დ. გედევანიშვილის ჩათვლით. დანარჩენები ფინალის კანდიდატები არიან.

თბილისის 1971 წლის პირველობის ფინალი გაიმართება 4-28 თებერვალს.

კარგი ტრადიციის დასაწყისი

კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ეძლევა დასაბამი: მოსკოვის, თბილისის, პრაღისა და სოფიის უნივერსიტეტების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები (თითოეულში 7 ვაჟი და 1 ქალი) შეეჯიბრებიან ერთმანეთს „მეგობრობის თასისთვის". ეს მატჩ-ტურნირი ტრადიციული გახდება. პირველ შეჯიბრებას მოსკოვის უნივერსიტეტის საჭადრაკო კლუბი უმასპინძლებს.

გუშინწინ მოსკოვს გაემგზავრა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდი. მის შემადგენლობაში არიან ოსტატები ე. უბილავა, ს. ჩეჩელიანი, ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი, ს. მეგრელიშვილი, ვ. მეჩიტოვი, ვ. ვეფხიშვილი და ლალი კოროშინაძე. გუნდის მწვრთნელია ოსტატი თ. კიკიანი.

ვადრაკი

თბილისი

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს მიეძღვნა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ავჭალა — მცხეთა — არმაზის ხევი — მცხეთა — ავჭალა — თბილისი. ლაშქრობაში მონაწილეობდა ქალაქის 143-ე საშუალო სკოლის 50 მოსწავლე. ყველა მონაწილემ იმუშავა ნორმები შეასრულა.

ნელი ქევანიშვილი,
თბილისის 143-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, ფიზკულტურული სექციის თავმჯდომარე.

ბაკურიანი

ზუგდიდი

დოსაფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა სტადიონზე ჩაატარა მოსწავლეთა ოთხდღიანი ლაშქრობა მრავალჭიდში. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელყუმბარის ტყორცნაში, აირწინაღის ხმარებაში, პნევმატური თოფით სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 10 საშუალო სკოლის 160 მოსწავლე.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა მე-8 საშუალო სკოლის ნაკრებმა. პირად პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვა რ. შანავამ (მე-9 საშუალო სკოლა).

ბ. ალშიბაია.

ანკესებით ზღვაზე

აჭარის მონადირეთა კავშირის გამგეობამ ამას წინათ მოაწყო სპორტული თევზაობის მოყვარულთა ტურნირი. ბათუმის უურეში 100-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. შეჯიბრების მონაწილეებმა ანკესები ერთდროულად ჩაუშვეს ზღვაში. თითოეულ სპორტსმენს ათი ანკესის გამოყენება შეეძლო.

ოთხი საათის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები. ყველაზე მეტი თევზი დაიჭირა ა. ნეკრასოვისა და ი. ლუკის ეკიპაჟმა — 1000 ცალი. ეს აჭარის ახალი რეკორდია.

პირად პირველობაში გაიმარჯვა ვ. ბურლაკოვმა — 585 თევზი. ეს შედეგიც აჭარის ახალი მიღწევაა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

გამოწერის ფასი:

1 წლით — 7 მან. 80 კაპ.
6 თვით — 3 მან. 90 კაპ.
3 თვით — 1 მან. 95 კაპ.
1 თვით — 65 კაპ.

ᲖᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲗᲔᲣᲖᲚᲣᲓᲐᲕᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე საზონათშორისო



ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ. ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐ-ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲛᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ. I ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ „ᲣᲠᲝᲜᲯᲐᲘᲡ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲡᲘ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲡ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲚᲝᲜᲐᲨᲘ, „ᲣᲠᲝᲜᲯᲐᲘᲡ“ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ Ვ. ᲚᲝᲒᲐᲩᲔᲕᲘ. ᲡᲐᲛᲯᲘᲓᲨᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ 462 ᲙᲒ.

Ე. ᲨᲣᲚᲔᲞᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲐᲚᲛᲐ-ᲓᲔ-ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚ ᲘᲥᲪᲔᲓᲐ. ᲐᲮ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲚᲛᲐ-ᲓᲔ-ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ Ბ. ᲡᲞᲐᲡᲙᲘ, ᲔᲥᲒ-ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘ Ვ. ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ, Მ. ᲢᲐᲚᲚᲘ, Ტ. ᲠᲝᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ, ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ Ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲘᲜᲘ, Ბ. ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ, Ლ. ᲞᲝᲠᲢᲐᲜᲘ.

ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ; 8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲥ VIII ᲡᲐᲖᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲨᲘ ᲝᲪᲓᲐᲝᲗᲮᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ. ᲒᲐᲘᲡᲐᲓ, ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ, ᲔᲥᲕᲡᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘ